ბახვიჰესი

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ბახვი ჰესი - ამბავი ადამიანურ ურთიერთობებზე

არჩილ ძნელაძე, ბახვი ჰესის ტექნიკური დირექტორი და გიორგი აბრამიშვილი, ბახვი ჰესის დირექტორი

ბახვი ჰესის პროექტი დასრულების ფაზაშია. 2021 წლიდან დღემდე ბევრი აკვირდება მის განვითარებას. წარმატების ისტორია, რომელსაც ამ პროექტის მენეჯმენტი ქმნის, საინტერესოა და აუცილებლად გასაზიარებელი. პროექტის განხორციელების მანძილზე ბევრი გამოწვევა იყო და ბევრი გამარჯვებაც. თითოეული გამოწვევა ხომ, ბიზნესს აძლიერებს და გამოცდილებას სძენს შემდგომის გადასალახად.
წარმოგიდგენთ ინტერვიუს ბახვი ჰესის დირექტორთან, გიორგი აბრამიშვილთან და პროექტის ტექნიკურ დირექტორთან, არჩილ ძნელაძესთან.

- ბატონო გიორგი, როდესაც პროექტის დაწყებას იხსენებთ, რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა იდეის რეალობად ქცევის პროცესში?

- 4 წლის წინ ჩვენ დავპირდით ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ავაშენებდით მაღალი სტანდარტის ჰიდროელექტროსადგურს. მაღალი სტანდარტი გულისხმობს ბუნების



გიორგი აბრამიშვილი, ბახვი ჰესის დირექტორი

და ადამიანის პატივისცემას, ზრუნვას და პასუხისმგებლობას.
დღეს ჩვენ პროექტის განხორციელების ბოლო ფაზაზე ვართ და შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ შევასრულეთ დანაპირები.
ყველა დიდი პროექტი გამოწვევებით იწყება და ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც.
გამოწვევები ხდის პროექტს საინტერესოს. ჩვენ შევძელით, თითოეული გამოწვევა წარმატებად გვექცია.
ბახვი ჰესის განვითარება, სწორედ რომ წარმატების მაგალითია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თანამედროვე ისტორიაში.
ეს პროექტი საკმაოდ დიდ გუნდთან ერთად ხორციელდება. აქ მუშაობენ როგორც ადგილობრივები, ასევე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები. ასევე, საერთაშორისო ექსპერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.
ჩვენ ერთად ვაშენებთ ჰიდროელექტროსადგურს, რომლითაც დარწმუნებული ვარ, უკვე, უახლოეს მომავალში, ერთად ვიამაყებთ.
რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივებთან ერთად ვაშენებთ ბახვი ჰესს. ზოგი ფიზიკურად იღებს მონაწილეობას მშენებლობაში, ზოგი კი, ინტელექტუალურად. რა თქმა უნდა, იყო წინააღმდეგობა, კამათი, განხილვები, შეხვედრები.
იცით, რა არის გასაღები ადამიანებში ნდობის მოპოვების გზაზე? გამჭვირვალობა, მოსმენის კულტურა და გაზიარება, ბოლოს კი, დანაპირების შესრულება.
- თქვენ ხშირად საუბრობთ ადგილობრივი საზოგადოების წინაშე აღებულ ვალდებულებებზე. როგორ უზრუნველყავით, რომ ეს დაპირებები შესრულებულიყო?
- ჩვენ ვისმენდით და გავიგეთ ყველა ის წუხილი, რომელიც ადგილობრივებს ჰქონდათ. პროექტის დაგეგმარების ეტაპზე არსებობდა მოსაზრება, რომ ბახმაროდან რამდენიმე კილომეტრით დაცილებული მცირე ჰესი, რომელიც ქვემოთ ხეობაში მდებარეობს, ბახმაროს კლიმატს შეცვლიდა და ნისლს გააქრობდა.
გვთხოვეს, უცხოელი ექსპერტების მოწვევა და მოვიწვიეთ ფრანგი საერთაშორისო ექსპერტი. გავაკეთეთ დამატებითი კვლევები, გზადაგზა ყველა ეტაპზე გვქონდა ჩართულობა, გამჭვირვალედ ვანწვდიდით განვითარების თითოეული ეტაპის შესახებ ინფორმაციას მოსახლეობას.
კვლევებით დადგინდა, რომ მცირე ჰესი, რომელიც მოდინებაზე იმუშავებდა არ და ვერ შეცვლიდა ბახმაროს კლიმატს, რომლის ფორმირებაზეც ერთის მხრივ, შავი ზღვა ზრუნავს და მეორეს მხრივ, კი მთათა სისტემა და ხეობა.
პარალელურად, დავიწყეთ ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობაც. როგორც კი დარწმუნდა მოსახლეობა, რომ არაფერს ვმალავდით და პირიქით, ვისმენდით და ვაზიარებდით, წამოვიდა პირველი პოზიტიური კომენტარები.
გზშ-სა და სამშენებლო ნებართვების მოპოვების პერიოდმა წელიწადნახევარი მოიცვა. პარალელურად, ჩვენ დავიწყეთ ჩვენი სოციალური პროგრამის შექმნა და მისი განხორციელებაც. სოციალური პროგრამა გულისხმობდა ჩვენს მიერ ისეთი პროექტების განხორციელებას სამშენებლო არეალის მახლობლად მდებარე სოფლებში, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე იქნებოდა მიმართული.
პირველი, რაც გავაკეთეთ, მრჩეველთა საბჭო დავაფუძნეთ, სადაც გავაერთიანეთ აზრის ლიდერები და პროექტით და მისი მომავლით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. სწორედ, მათთან ერთად შევიმუშავეთ მრავალმხრივი პროგრამა, რომელიც ეყრდნობოდა ერთის მხრივ, საბჭოს წევრების რეკომენდაციებს და მეორეს მხრივ, საჭიროებების კვლევის მონაცემებს, რომელიც საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე სოფლებში ჩავატარეთ.
პროგრამას რამდენიმე მიმართულება ჰქონდა - განათლება - საბავშვო ბაღი, სკოლები და საუნივერსიტეტო განათლება, ცნობიერების ამაღლება და პროფესიული ორიენტაცია, განათლების დაფინანსება და ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურული პროექტები - ენერგოეფექტური განათება ბახმაროში, წყლის სისტემა ვანისქედში, გზების რეაბილიტაცია, ხიდის მშენებლობა; მცირე ბიზნესის დახმარება - გურიის ჩაის გზის მხარდაჭერა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით სტუმარ-მასპინძლობის სექტორის გაძლიერება, შშმ პირების დახმარება. ამის გარდა, დასაქმება იყო მნიშვნელოვანი კომპონენტი და ამასაც წარმატებით გავართვით თავი.
სამართლიანი პოლიტიკა გვქონდა დასაქმების მიმართულებით. გარდა პირდაპირი წესით დასაქმებულებისა, ე.წ. მესამე პირების, დაქირავების პოლიტიკაც გვქონდა, რაც გულისხმობდა მომსახურებისა და პროდუქტის ყიდვისას უპირატესობის ადგილობრივებისთვის მინიჭებას.
- ახლა, როდესაც ბახვის ჰესი მშენებლობის პრაქტიკულად ბოლო ეტაპზეა, რას ნიშნავს ეს პროექტი გურიისთვის და საქართველოსთვის?
- ვფიქრობ, პროექტი შედგა და ამ პროექტმა აჩვენა მაგალითი პასუხისმგებლიანი ბიზნესისა.
ამ პროექტში ყველა მხარე გამარჯვებულია, ანუ სარგებელს ყველა იღებს, როგორც განმახორციელებლები ასევე, დაინტერესებული ჯგუფები.
ეს პროექტი მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურის პროექტი არაა ჩვენთვის, ეს არის ამბავი ადამიანურ ურთიერთობებზე.

II გვერდზე

ბახვი ჰესის შესახებ

ბახვი ჰესი მართავს მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტებს, რომლებიც დაგეგმილია მდინარე ბახვისწყალზე.

განსახორციელებელი პროექტები მოქცეულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მათი ჯამური დადგმული სიმძლავრეა 43 მეგავატი, წლიური დაგეგმილი გამომუშავება კი, 180.5 მილიონ კილოვატსაათია.

ბახვი ჰესი - ამბავი ადამიანურ ურთიერთობებზე

არჩილ ძნელაძე, ბახვი ჰესის ტექნიკური დირექტორი

I გვერდიდან

- ბატონო არჩილ, მშენებლობის პროცესში რა იყო ყველაზე რთული ტექნიკური გამოწვევები და როგორ შეძლო თქვენმა გუნდმა მათი გადალახვა?

- სამშენებლო მოედანი საკმაოდ რთულ რელიეფზეა განლაგებული. ბახვი 2ა და ბახვი 2ბ სადგურების მშენებლობა და აღჭურვა დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ ექსტერიერის მოპირკეთების სამუშაოები, ბახვი 1 კი, უახლოეს თვეებში დასრულდება.

მახსენდება, პროექტის მრჩეველთა საბჭოს წევრების რეაქცია, როცა დაათვალიერეს სამშენებლო მოედანი - მათ სიხარული ვერ დამალეს, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ვიწრო მონაკვეთზე იყო გაშლილი მშენებლობა. მოლოდინი ჰქონდათ, რომ სამშენებლო პერიმეტრი გაცილებით დიდი იქნებოდა.

ბევრი გამოწვევა იყო მშენებლობის პერიოდში - რელიეფი, მკაცრი ზამთარი, დიდთოვლობა, უსაფრთხოების კომპონენტები, რომელთა პრინციპულმა დაცვამაც განაპირობა ის, რომ არც ერთი სერიოზული ინციდენტი არ გვქონია.

200 ზე მეტი ადამიანია დასაქმებული პროექტზე, საიდანაც 30 პროცენტი ადგილობრივია.

ჩვენ ყველამ, ადგილობრივებმა, ჩამოსულებმა, ერთად ავაშენეთ ეს ჰესი.

ვფიქრობ, პროფესიონალებთან ერთად მუშაობით ბევრი ისწავლეს ახალბედა დასაქმებულებმა, რაც შემდგომში სხვა პროექტებზე გამოადგებათ.

ჩვენი სტანდარტი მაღალია, მკაცრი წესები გვაქვს, თუმცა, სწორედ ამ სტანდარტების დაცვა განაპირობებს ხარისხს და უსაფრთხოებას სამშენებლო მოედანზე.

- როგორ მოახერხეთ საინჟინრო მიზნების გაერთიანება გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობებთან?

- თითოეული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მოიცავს - სათავე ნაგებობას, სადაც წყალმიმღებია, მილსადენს, რომელიც სათავე ნაგებობას აკავშირებს ჰესის შენობასთან და ჰესის შენობას, სადაც ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება.

ყველა სათავე ნაგებობა მოიცავს თევზსავალს.

ჩვენი ნომერ პირველი ამოცანა იყო ისე დაგვეგეგმა სამუშაოები, რომ ნაკლები ზემოქმედება მოგვეხდინა საპროექტო ტერიტორიაზე.

საპროექტო ტერიტორია მოიცავდა, როგორც მწვანე საფარის მქონე რელიეფს, ასევე, მიწიან და კლდოვან ზედაპირებს.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით გამოგვეყენებინა მწვანე საფარის გარეშე არსებული ზედაპირები, რათა თავიდან აგვერიდებინა ზემოქმედება.

რაც შეეხება თევზსავალს, იმდენად მნიშვნელოვანია მისი სწორად ფუნქციონირება, რომ დიზაინის ეტაპზევე ჩავრთეთ საერთაშორისო ექსპერტები.

ტექნიკური გუნდი ძალიან მჭიდროდ მუშაობს გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების გუნდთან. ყოველდღიურ მუშაობაშია ჩაშენებული ის პასუხისმგებლობები, რომელიც ამ მიმართულებას მოყვება.

ჩვენ დავპირდით მოსახლეობას, რომ მშენებლობის დროს აღვასრულებდით საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაწერილ სამოქმედო გეგმებს, რათა თავიდან აგვეცილებინა ზეგავლენა, ან პრევენციულად დაგვეგეგმა შემარბილებელი ღონისძიებები.

აღსრულების კომპონენტია ის მოქმედებები, რომლებსაც ვახორციელებთ მშენებლობასთან ერთად, გარემოსთვის პირვანდელი იერსახის დაბრუნების მიმართულებით, იქნება ეს ჰიდრო თესვები, თუ ამ გარემოსთვის შესაფერისი ნერგების დარგვა და მოვლა - პატრონობა.

- დასრულებულ პროექტს რომ უყურებთ, რითი ამაყობთ?

- საამაყო პირველ რიგში გვაქვს ის, რომ შევასრულეთ დანაპირები და ბახვი ჰესი მშენებლობის ხარისხითა და სტანდარტით შეესაბამება როგორც ადგილობრივ, ასევე ყველა საერთაშორისო ნორმას.

ბახვი ჰესი - თევზის პოპულაცია და შემარბილებელი ღონისძიებები

ინტერვიუ პიერ ბიდერმანთან - გარემოს დაცვისა და სოციალური მმართველობის საერთაშორისო ექსპერტი, AlpaGe-ს დამფუძნებელი და მთავარი მკვლევარი

ბახვი ჰესის ინიციატივით ჩაიწერა ვიდეო ინტერვიუ საერთაშორისო ექსპერტთან პიერ ბიდერმანთან, რომელიც გარემოს დაცვის, სოციალური პროექტებისა და მმართველობის საერთაშორისო ექსპერტია.

პიერ ბიდერმანი

2021-2022 წლებში პიერ ბიდერმანი, როგორც დამოუკიდებელი, მოწვეული ექსპერტი, აწარმოებდა ბახვი ჰესის საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების, კლიმატისა და კუმულაციური ზეგავლენის კვლევებს.

მანვე მოამზადა პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი და ასევე, გარემოს დაცვის სამოქმედო გეგმა, რომელიც ემსახურება საპროექტო არეალში და მის მიმდებარედ არსებულ სოფლებში პროექტით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას.

პიერ ბიდერმანი ბახვი ჰესის სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგის მიზნით 2022 წლიდან პერიოდულად სტუმრობს გურიას. ამ სტატიაში ის საუბრობს თევზის პოპულაციის ხელშეწყობისთვის გასატარებელ ღონისძიებებზე, რომელსაც ახორციელებს ბახვი ჰესი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით.

„მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ თევზის პოპულაციაზე ზეგავლენა განსხვავებულია მშენებლობისა და ოპერირების ფაზებზე. მშენებლობის დროს, გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს მდინარის კალაპოტის სიახლოვეს ან უშუალოდ კალაპოტში, რაც იწვევს ხმაურს და რიგ შემთხვევაში მდინარის ამღვრევას. თევზის პოპულაციას არ მოსწონს, როცა წყალი ამღვრეულია. განსაკუთრებით კი, მაშინ, თუ ისინი სუფთა წყალში ბინადრობას არიან მიჩვეულნი.

შესაბამისად, ყველა რისკის გათვალისწინებით არსებობს სპეციფიკური შემარბილებელი ზომები, რომელთა საშუალებითაც მინიმუმამდე მცირდება ზეგავლენა.

როცა დასრულდება მშენებლობა და ჰიდროელექტროსადგური გადავა ოპერირების ეტაპზე, მაშინ გასატარებელი ღონისძიებები განსხვავებულია.

ამ შემთხვევაში, მთავარი ამოცანაა ყურადღება მიექცეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მდინარის კალაპოტში წყლის ერთარხიანი დინების უზრუნველყოფა, წყლის სიღრმის კონტროლი, მდინარის კალაპოტის მართვის კონტროლის ზედმიწევნით განხორციელება“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პიერ ბიდერმანი ჩართული იყო ბახვი 1, ბახვი 2ა და ბახვი 2ბ ჰიდროელექტროსადგურებისთვის დაგეგმილი თევზსავალების პროექტირებისა და დიზაინზე მუშაობის პროცესში, ოპერირების ეტაპზე მათი გამართულად მუშაობის მიზნით.

ფოტორუბრიკა

სამშენებლო პერიმეტრის სტუმრები ჩვენი თანამშრომლების ობიექტივში

ჩვეულებრივი ვასაკა

ჩვეულებრივი ვასაკა (ლათ. Hyla arborea) - არის მცირე ზომის უკუდო ამფიბია ვასაკასებრთა ოჯახიდან.

იგი ფართოდ არის გავრცელებული ევროპაში, მცირე აზიასა და კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც. ჩვეულებრივ ვასაკას სხეულის სიგრძე დაახლოებით 4-5 სანტიმეტრია, ფერი კი ძირითადად მწვანეა, თუმცა, მას შეუძლია გარემოს მიხედვით ფერის შეცვლა - მაგალითად, შეიძლება გახდეს მოყავისფრო ან ნაცრისფერი.

ვასაკა ბინადრობს ტენიან გარემოში - ხეებზე, ბუჩქებში და წყლის ახლოს, ხოლო გამრავლების პერიოდში წყალში ჩადის და იქ დებს კვერცხებს.

ჩვეულებრივი ვასაკა მნიშვნელოვან ეკოლოგიურ როლს ასრულებს, რადგან დიდი რაოდენობით მავნე მწერებს ანადგურებს და ამით ბუნებრივ ეკოსისტემას იცავს.

ამავე დროს, მისი არსებობა მიუთითებს სუფთა და ჯანსაღ გარემოზე. ვასაკა ასევე დაცულია საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნების ფარგლებში, როგორც ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი სახეობა. ჩვეულებრივი ვასაკა, რომელიც ფოტოზეა წარმოდგენილი, გადაიღო ბიომრავალფეროვნების მოწვეულმა მკვლევარმა, ნიკო ქერდიყოშვილმა, ბახვი ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე გეგმიური კვლევის წარმოებისას.